

კითხვები,
როგორსაც ხშირად
სვამენ იძულებით
გადაადგილებული პირები
(დევნილები)




პითევები,

როგორც საც სტატუსი იქნებით
გადაადგილებული პირები (დევილები)

ISBN 978-9941-0-3223-3

წინამდებარე გამოცემა მომზადდა პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია ფონდი „ტასო“ და ქალთა საინფორმაციო ცენტრი.





სარჩევი

წინასიტყვაობა

I. სამართლებრივი დაცვა.....	5
II. განსახლება, კერძო საკუთრება	19
III. სოციალური დაცვა	25
IV. ჯანდაცვა.....	34
V. განათლება.....	37

დანართები

დანართი 1. სახელმწიფო სტრუქტურების საკონტაქტო ინფორმაცია.....	41
დანართი 2. დევნილთა პროფესიულ გადამზადებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	44
დანართი 3. დევნილებისათვის იურიდიული დახმარება და კონსულტაცია.....	45
დანართი 4. იურიდიული დახმარება და კონსულტაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის	46
დანართი 5. პროფესიული სასწავლებლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელობო-საგანმანათლებლო პროგრამები	46
დანართი 6. ინკლუზიური განათლების პროგრამაში მონაწილე საჯარო სკოლები თბილისა და რეგიონებში	60

ნინამდებარე პროშურა მომზადებულია პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში. სამწლიან პროექტს ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. პროექტის ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციებია ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ფონდი „ტასო“. 2009 წლიდან პროექტი ხორციელდება ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით.

პუბლიკაციის მიზანია იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) საინფორმაციო უზრუნველყოფა მათვის განკუთვნილი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პროცედურების, პროგრამების, საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და სოციალური დახმარებების შესახებ. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში, როდესაც ინფორმაცია ვრცელდება არა მხოლოდ ბეჭდვითი, არამედ ელექტრონული გზითაც, ადამიანები თითქოს არ უნდა განიცდიდნენ ინფორმაციის სიმცირეს, მაგრამ არაინფორმირებულობა ისევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, განსაკუთრებით კი რეგიონებსა და მიუვალ სოფლებში. დევნილი მოსახლეობისათვის ჯერ კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად განაპირობოს მათი სოციალური თუ ეკონომიური მდგრამარეობა. ინფორმაციის მოპოვება უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე მოქალაქეებისათვის, ვინაიდან ინფორმაცია არის ის ინსტრუმენტი, რაც ეხმარება ადამიანის კეთილდღეობასა და განვითარებას.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, შექმნილმა კონფლიქტურმა სიტუაციებმა და ომმა იმოქმედა საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეზე. ამ კონფლიქტების შედეგად კი განსაკუთრებით დაზარალდა იძულებით გადაადგილებული (დევნილი) მოსახლეობა. დევნილებს ხშირად ებადებათ კითხვები ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა უფლებრივი საკითხები, განსახლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური ზრუნვა, განათლება, დასაქმება.

პროექტი „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ხორციელდება ხუთ სამიზნე რეგიონში: თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში. პროექტის ფარგლებში პერიოდულად ტარდება შეხვედრები ერთი ფანჯრის პრინციპით, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და დევნილ მოსახლეობას შორის. შეხვედრების მიზანია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და მათი ოჯახის წევრების პრობლემების ადგილზე გადაჭრა. მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრებში მონაწილეობენ იმ უწყებების წარმომადგენლები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ დევნილთა საკითხები.

ნინამდებარე გამოცემა ამ შეხვედრებზე დაგროვილ და გამოკვეთილ პრობლემებზე დაყრდნობით მომზადდა. პროშურის სახით მომზადდა ის ინფორმაცია, რომელიც უდავოდ გამოადგება ყველა დაინტერესებულ პირს (დევნილს) მისთვის საჭირო კითხვაზე პასუხის მოსახიებლად. გამოცემა შეიცავს სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ პრაქტიკულ ინფორმაციას, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირს, მარტივად დაუკავშირდეს შესაბამის სამსახურებს მისთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად.

სამართლებრივი დაცვა

1. როგორ ხდება დევნილის სტატუსის მინიჭება?

დევნილის¹ სტატუსის მინიჭების თაობაზე შესაბამისი საქმის წარმოება იწყება, როდესაც პირი დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე წერილობითი განცხადებით პირადად მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. განცხადება უნდა შეიცავდეს:

- სამინისტროს ან სამინისტროს იმ ტერიტორიული ორგანოს დასახელებას, რომელ-საც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობას და დროებითი საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- მოთხოვნას დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების (დოკუმენტების) ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- განცხადებაში უნდა იყოს მითითებული, რომ პირი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, ასევე – გარემობები, რომელთა გამოც იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- დევნილის შეხედულებისამებრ საჭირო ის საბუთები და მტკიცებულებები (მათი არ-სებობის შემთხვევაში), რომლებიც ადასტურებს საფუძვლიან ვარაუდს იმისა, რომ პირის მოთხოვნა დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში მოცემულ გარემოებებს.

¹ განმარტებები – დევნილი და იძულებით გადაადგილებული პირი – ტექსტში სინონიმებად გამოიყენება.

დევნილის მოწმობის მიღების უფლება აქვს უშუალოდ დევნილის სტატუსის მქონე პირს, ხოლო არასრულწლოვანი, ქმედუუნარო² ან შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის³ შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს.

„იძულებით გაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (მუხლი 1.), იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად – ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც:

- იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დევნილს, დაოჯახების შემთხვევაში, უნარჩუნდება დევნილის სტატუსი. თუ ორივე ან ერთ-ერთი მშობელი არის დევნილი, ბავშვს შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი მშობლების თანხმობის საფუძველზე.

იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი – არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ისევე სარგებლობს საქართველოში საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

2. როგორ ხდება დევნილის სტატუსის მინიჭება მცირენლოვანი ბავშვისთვის?

ბავშვის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანის მიმართავს ბავშვის მშობელი (მშობლები). ამ შემთხვევაში, განცხადებასთან ერთად სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს ბავშვის დაბადების მონაბეჭდი, მშობლის (მშობლების) დევნილის მონაბეჭდი და მშობლების თანხმობა ბავშვისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი (მშობლები) არის დევნილის სტატუსის მაძიებელი პირი და განცხადებაში ითხოვს ბავშვისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებას, როგორც მშობლის (მშობლების), ისე ბავშვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი წყდება ერთობლივად.

3. შეუწყდება თუ არა დევნილის სტატუსი პირს, რომელმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა დევნილობის პერიოდში მიიღო?

² ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელიც ჭერასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იწევა ალირებული. მნ პირის უფლებას ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-12 მუხლი, მე-5 პუნქტი, 1997.

³ შეზღუდულ ქმედუნარიანის მოწოდებით დავლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. შეზღუდულ ქმედუნარიანის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-14 მუხლი, მე-2 პუნქტი, 1997.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, ანუ თუ იძულებით გადაადგილებული პირი დევნილობის პერიოდში მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, მას შეუწყდება დევნილის სტატუსი.

4. რა პროცედურებია საჭირო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე (ოკუპირებულ ტერიტორიაზე⁴) დაბადებული ბავშვისათვის დაბადების მოწმობის ასალებად და დევნილად დასარეგისტრირებლად?

დაბადების რეგისტრაციისთვის განმცხადებელმა უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს და წარადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლების ერთობლივი განცხადების შემთხვევაში:

- ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა;
- მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან გადაწყვეტილება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ;
- „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბავშვის დაბადების შესახებ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობებს არა აქვს იურიდიული ძალა და იგი ვერ იქნება მიღებული დაბადების რეგისტრაციისას. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც შეუძლებელია იურიდიული ძალის მქონე სამედიცინო ცნობის წარმოდგენა, შესაძლებელია დადგინდეს დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბ) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლების შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში:

- ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა;
- განმცხადებელი მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);

⁴ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2. ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონები ამ კანონის მიზნებისათვის ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონებია (შემდგომ — ოკუპირებული ტერიტორიები):

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები;
 ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ თესეთის ავტონომიური ლექის ტერიტორიები);
 გ) შავ ზღვაზე: რუსეთის ფედერაციასათვის საქართველოს სახელმწიფოსა და სამხრეთი მდინარე ფსოუდან სამხრეთით მდინარე ენგურის შავ ზღვასათვის ჩიდონების ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდებარე საზღვაო აევატორიაში შემავალი საქართველოს შემდებრების და ტერიტორიული ზღვა, მთი ფსკერი და ნაღი, რომლებზედაც საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს, არეთვე საზღვაო ზონები: მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული კუნძულობრივი ზონა და კონტინენტური შეღვივი, სადაც საქართველო თავისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების, კერძოდ, „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის შესაბამისად, მიმდებარე ზონამ სარგებლობს ფისკულური, საინტარიული, სამიზანობებითა და იურისდიქციით;
 დ) ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებთ გათვალისწინებული ტერიტორიების ზემოთ არსებული საპარო სივრცე.

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან გადაწყვეტილება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

გ) რეგისტრირებულ ქორნინებაში არმყოფი მშობლების შემთხვევაში:

- მშობლების პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან გადაწყვეტილება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

(დ) დაუქორნინებელი დედის შემთხვევაში:

- დედის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე ან გადაწყვეტილება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის დაბადების მოწმობის აღებამდე ვერ მოხდება ბავშვის დევნილად დარეგისტრირება. ბავშვის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს მიმართავს ბავშვის მშობლი (მშობლები). ამ შემთხვევაში, განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს ბავშვის დაბადების მოწმობა, მშობლის (მშობლების) დევნილის მოწმობა და მშობლების თანხმობა ბავშვისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე.

5. რა პროცედურებია საჭირო სტატუსის აღსაღენად, თუ პირმა ვერ გაიარა რეგისტრაცია სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში?

თუ დევნილი სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში არ გაივლის რეგისტრაციას, მას უჩერდება დევნილის სტატუსი. „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ 2007 წლის 1 ნოემბერის N 124 ბრძანების მე-4 მუხლის 27-ე პუნქტის შესაბამისად, დევნილს, რომელიც დადგენილ ვადებში ვერ გაივლის რეგისტრაციას, შეუძლია რეგისტრაციის გასავლელად განცხადებით მიმართოს სამინისტროს.

6. ვის უნდა მიმართოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა პირადობის ან დევნილის დამადასტურებელ დოკუმენტების ცვლილებების შეტანის საჭიროებისას?

პირადობის მოწმობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის საჭიროებისას დევნილმა უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს;

დევნილის მოწმობაში ცვლილებების შეტანის საჭიროებებისას კი მან უნდა მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

7. ვის უნდა მიმართოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა, თუკი არ ფლობს პირადობის დამდგენ დოკუმენტებს?

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახური პირადობის (ბინადრობის) მოწმობას გასცემს დოკუმენტების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო საქართველოს საზღვრებს გარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება პირადობის მოწმობას გასცემს 1 თვის ვადაში.

პირადობის მოწმობის მისაღებად პირი ვალდებულია წარადგინოს დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, ფოტოსურათი, ხოლო თუ წარდგენილი დოკუმენტი არ ადასტურებს, რომ პირი საქართველოს მოქალაქეა — საქართველოს მოქალაქობის დადგენისათვის საჭირო საბუთი. საქართველოს მოქალაქეობის დადგენისათვის საჭირო საბუთი შეიძლება იყოს: საქართველოში არანაკლებ ხუთი წლით მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტის, სამუშაო ბილეთის, შრომის წიგნის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან ანდა აღნიშნული იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი).

პირადობის მოწმობის მისაღებად ამ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

იძულებით გადაადგილებული არასრულწლოვანი პირი და იძულებით გადაადგილებული პირის შვილი (გარდა იმ პირისა, რომელმაც იძულებით გადაადგილებამდე მიაღწია სრულწლოვნების ასაკს), რომლებიც საქართველოში რეგისტრირებული არ არიან, შეიძლება გატარდნენ რეგისტრაციაში ერთ-ერთი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე რეგისტრაციაში გატარებისა და პირადობის მოწმობის მისაღებად მიმართავს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, ავსებს განცხადება-ანკეტას (ფორმა №1გ) და მასთან ერთად წარადგენს:

- ა) დაბადების მოწმობას (დედანი);
- ბ) სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში არსებულ ფოტოჯი-სურში გადაღებულ 2 ფერად ფოტოსურათს (3,5X4,5სმ);
- გ) დევნილის მოწმობას (დევნილად ცნობილი პირის შემთხვევაში);
- დ) ერთ-ერთი მშობლის (მეურვის, მზრუნველის) პირადობის მოწმობას.

საქართველოს მოქალაქე რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის მისაღებად მიმართავს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ავსებს შესაბამის განცხადება-ანკეტას (ფორმა №1გ) და ამასთან ერთად წარადგენს:

- ა) დაბადების მოწმობას (დედანი), ხოლო თუ პირის დაბადების ფაქტი რეგისტრირებუ-

ლია საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ – დაბადების მოწმობას ან შესაბა-მისი ქვეყნის უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას, მისი დაბადების ფაქტს და მშობლების ვინაობას;

ბ) სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში არსებულ ფოტოჯი-სურში გადაღებულ 2 ფერად ფოტოსურათს (3,5X4,5სმ);

გ) საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს ან საცხოვრისის მესაკუ-თრის თანხმობას, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრე-ბაში არსებული საცხოვრისის დამქირავებლის წერილობით თანხმობას, შესაბამისად, საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე;

დ) თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ ადასტურებს, რომ პირი საქართველოს მო-ქალაქეა, ამ პირმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქეობის დამ-ადასტურებელი საბუთი ან საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი. საქართველოს მოქალაქეობის დადგენისათვის საჭირო საბუთი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი ან საბუ-თი, რომელიც გააიოლებს პირის მოქალაქეობის დადგენას. ეს შეიძლება იყოს: საბჭოთა კავშირის მოქალაქეის პასპორტი ან პირის პირადობის დამადასტურებელი სხვა რამე დო-კუმენტი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკი, საბინაო წიგნის ჩანაწერი, რამე სახელმ-წიფრი დაწესებულების გადაწყვეტილება, სადაც ეს პირი მოიხსენიება და ა.შ. კონკრე-ტული ჩამონათვალის გაკეთება შეუძლებელია. საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელ საბუთს გასცემენ შე-საბამისი რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობები, სანაკოეფის ადმინისტრაცია – ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, აფხაზეთის მთავრო-ბასთან არსებული კომისია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

ე) თუ პირს არ გააჩნია დაბადების მოწმობა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერი-ტორიული სამსახური უფლებამოსილია თვითონ მოიპოვოს პირის დაბადების რეგისტრა-ციის მონაცემები და დადგენილი წესით გასცეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა.

დაკარგულის ნაცვლად ახალი პირადობის მოწმობის მისაღებად პირი მიმართავს სამოქა-ლაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აქებს განცხადება-ანკეტას და წარადგენს 2 ფოტოსურათს (თუ დაკარგული მოწმობა გაცე-მულია სხვა სამსახურში – 3 ფოტოსურათს) დაბეჭდილს და ელექტრონული ფორმით. ახალი მოწმობა გაიცემა სააგენტოს ფოტოსურათიანი ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ან განცხადება-ანკეტის საფუძველზე.

თუ პირი არ არის რეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ან ბაზაში არ არის დაცული მისი ფოტოსურათი და არც ფოტოსუ-რათიანი განცხადება-ანკეტა მოიპოვება, პირადობის მოწმობის მისაღებად განმცხადე-ბელმა უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტებია:

- ა) პასპორტი;
- ბ) მართვის მოწმობა;
- გ) საპენსიო წიგნაკი;
- დ) სამხედრო ბილეთი;
- ე) სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ფოტოსურათიანი სხვა საბუთი.

კონფლიქტებისა და სტიქიური უბედურებების ზონებიდან იძულებით გადაადგილებულ და საცხოვრებლად იქ დარჩენილ პირთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების სპეციალური პირობების გათვალისწინებით, მათი პირადობის დამადასტურებელი მონაცემების უკმარისობის შემთხვევაში ტერიტორიული ორგანოები ვალდებული არიან:

- საფუძვლიანად შეისწავლონ წარმოდგენილი დოკუმენტები: დაბადების მოწმობა, სსრკ მოქალაქის პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა, სამხედრო ბილეთი, საპენსიო წიგნაკი, მძღოლის მოწმობა, დიპლომი, ატესტატი, ქორწინების (განქორწინების) მოწმობა, საბინაო წიგნი და სხვა დოკუმენტები;
- სააგენტოში გააგზავნონ მოთხოვნა და შეამოწმონ, ხომ არ არის იძულებით გადაადგილებული პირი რეგისტრირებული საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში ან ხომ არ გაცემულა მასზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობა სხვა ტერიტორიული სამსახურის მიერ;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოებიდან საჭირო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, გააგზავნონ შესაბამისი მოთხოვნა;
- თუ იძულებით გადაადგილებულ პირს არ გააჩინია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი, იგი წარადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოს დასკვნას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე.

იძულებით გადაადგილებული პირის პირადობის დამადასტურებელი მონაცემები დადგენილად ჩაითვლება, თუ დასახელებული მოთხოვნების შესრულების შედეგად მოპოვებული მონაცემებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების (საბუთები) განხილვა-ურთიერთშეჯერება იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

პირი, რომელიც რეგისტრირებული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რომელიც მოიხსნა რეგისტრაციიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, მიღების ან აღდგენის შემთხვევაში შეიძლება დარეგისტრირდეს იმავე მისამართზე მხოლოდ მისივე განცხადების საფუძველზე.

დაუშვებელია უარი ეთქვას პირს, რომელიც წარადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. რეგისტრაციის გავლისას აგრეთვე დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი დოკუმენტის მოთხოვნა.

8. როგორ ხდება დევნილის დაპადების ფაქტის დადგენა?

იძულებით გადაადგილებული პირი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი და საქართველოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირების/მოქალაქის მსგავსი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

დაპადების ფაქტის დადგენა ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსადმი განცხადებით მიმართვის გზით.

სააგენტო ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტებს:

- პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში დაპადების ფაქტს.
- პირის დაპადების რეგისტრაციის ფაქტს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილად ცნობილ პირს, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია რეგისტრაციის ადგილი, იურიდიული მნიშვნელობის მქონე (დაპადების და გარდაცვალების) ფაქტის დასადგენად შეუძლია მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ნებისმიერ უფლებამოსილ ორგანოს.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისა და შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისათვის სააგენტოში შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა. განცხადება დაპადების ფაქტის დადგენის თაობაზე და დაბადების ფაქტის რეგისტრაციისათვის სააგენტოში შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

დაპადების ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამოც შეუძლებელია განმცხადებლის მიერ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა;
- დეტალურ ინფორმაციას იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებითაც განმცხადებელი ასაბუთებს დასადგენ ფაქტს;
- ინფორმაციას მოწმეთა ვინაობის შესახებ, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოები უნდა დადგინდეს მოწმეთა ჩვენებებით.

განცხადებას უნდა დაერთოს იმ პირთა ფოტოსურათები, რომელთა მიმართაც უნდა დადგინდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირები გარდაიცვალნენ.

დაპადების ფაქტის დადგენისას, გარდა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს და დაეყრდნოს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებსა და სხვა ზეპირ მტკიცებულებებს.

1. დაბადების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის წარმოებისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამისი ორგანო ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა, რომელზედაც მოწვეული უნდა იქნენ განმცხადებელი, სხვა დაინტერესებული პირები და მოწმეები, მათი არსებობის შემთხვევაში. განმცხადებელს, დაინტერესებულ პირებსა და მოწმეებს ზეპირი მოსმენის შესახებ უნდა ეცნობოთ 5 დღით ადრე მაინც და მოწვეული უნდა იყვნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

2. გადაწყვეტილება დაბადების ფაქტის დადგენის ან მასზე უარის თქმის შესახებ უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი განცხადების წარდგენილობა არა უგვიანეს 1 თვისა. თუ საქმისთვის არსებოთი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების შესახებ.

3. დაბადების ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

4. თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო არასაკმარისად ან არასარნმუნიდ მიიჩნევს წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მოწმეთა ჩვენებებს, მას შეუძლია უარი თქვას დაბადების ფაქტის დადგენაზე.

დაბადების განმეორებითი მოწმობები გაიცემა აგრეთვე მშობლებზე, მშვილებლებზე, მეურვეებზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებზე. განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს სხვა პირებზედაც, სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

9. როდის და სად შეუძლია დევნილს აიღოს ოჯახის წევრის გარდაცვალების მოწმობა?

იძულებით გადაადგილებული პირი არის საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, საქართველოში სხვა პირების/მოქალაქის მსგავსი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

გარდაცვალების რეგისტრაციასა და მოწმობების გაცემას ახდენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები.

ოჯახის წევრის გარდაცვალების მოწმობა დევნილს შეუძლია აიღოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში.

გარდაცვალების შესახებ განცხადებული უნდა იქნეს პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან ერთი წლის ვადაში.

გარდაცვალების რეგისტრაციის საფუძველია უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადება/მიმართვა, რომელსაც უნდა დაერთოს:

- 1) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- 2) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- 3) გარდაცვალების დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი საბუთი:

- უფლებამოსილი დაწესებულების ან პირის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა გარდაცვალების შესახებ;
- სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე;
- გამგეობის (მერიის) რწმუნებულის მიერ შედგენილი ოქმი, რომლის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით;
- უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ;
- საკონსულო დაწესებულებაში – შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.

გარდაცვალების მოწმობის გაცემა ხდება გარდაცვალების რეგისტრაციისათვის ზემოთ ჩამოთვლილი საბუთების დადგენის დღესვე.

გარდაცვალების შესახებ განცხადების ვალდებულება ეკისრება ასევე:

- სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო სამედიცინო დაწესებულების, პათანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს, აგრეთვე იმ პირს, რომელიც უფლებამოსილია გასცეს გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არც ერთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებასთან – ცნობის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ პირი ამ დაწესებულებაში გარდაიცვალა ან გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა გასცა ამ დაწესებულებაში ან პირმა;
- პანსიონატის, თავშესაფრის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს – პირის გადაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ იგი ამ დაწესებულებაში გარდაიცვალა.
- გამგეობის (მერიის) რწმუნებულს – პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10. როგორ ხდება დევნილის გარდაცვალების ფაქტის დადგენა?

იძულებით გადაადგილებული პირი არის საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, საქართველოში სხვა პირების/მოქალაქის მსგავსი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

გარდაცვალების ფაქტის დადგენა ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსადმი განცხადებით მიმართვის გზით.

გარდაცვალების რეგისტრაციისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო ადგენს განმცხადებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ასევე გარდაცვლილის უკანასკნელი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

სააგენტო ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტებს:

- პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს;
- პირის გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილად ცნობილ პირს, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია რეგისტრაციის ადგილი, იურიდიული მნიშვნელობის მქონე (დაბადების და გარდაცვალების) ფაქტის დასადგენად შეუძლია მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ნებისმიერ უფლებამოსილ ორგანოს.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისა და შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისათვის სააგენტოში შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამოც შეუძლებელია განმცხადებლის მიერ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა;
- დეტალურ ინფორმაციას იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებითაც განმცხადებელი ასაბუთებს დასადგენ ფაქტს;
- ინფორმაციას მოწმეთა ვინაობის შესახებ, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები უნდა დადგინდეს მოწმეთა ჩვენებებით.

გარდაცვალების ფაქტის დადგენისას, გარდა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია ასევე გამოიყენოს და დაეყრდნოს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებსა და სხვა ზეპირ მტკიცებულებებს.

1. გარდაცვალების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის წარმოებისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამისი ორგანო ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა, რომელზედაც მოწვეული უნდა იყვნენ განმცხადებელი, სხვა დაინტერესებული პირები და მოწმები (მათი არსებობის შემთხვევაში). განმცხადებელს, დაინტერესებულ პირებსა და მოწმებს ზეპირი მოსმენის თარიღის შესახებ უნდა ეცნობოთ 5 დღით ადრე მაინც და მოწვეული უნდა იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

2. გადაწყვეტილება გარდაცვალების ფაქტის დადგენის ან მასზე უარის თქმის შესახებ მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა. თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების შესახებ.

3. გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

4. თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო არასაკმარისად ან არასარწმუნოდ მიიჩნევს წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მოწმეთა ჩვენებებს, მას შეუძლია უარი თქვას გარდაცვალების ფაქტის დადგენაზე.

გარდაცვალების განმეორებითი მოწმობები გაიცემა გარდაცვლილთა ნათესავებზე და სხვა დაინტერესებულ პირებზე. განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს სხვა პირებზედაც, სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

11. ქორწინების მოწმობის ხელმეორედ (განმეორებით) ალების შემთხვევისას რა საბუთები უნდა წარმოადგინოს დევნილმა და სად?

იძულებით გადაადგილებული პირი არის საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, საქართველოში სხვა პირების/მოქალაქის მსგავსი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

1. ქორწინების რეგისტრაციის განმეორებით მოწმობებს გასცემს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, მასთან დაცული სამოქალაქო აქტების საფუძველზე. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიც უფლებამოსილია გასცეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები და ინფორმაცია სააგენტოს სხვა ტერიტორიულ სამსახურებში შენახული აქტების საფუძველზე.

2. ქორწინების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები გაიცემა პირებზე, რომელთა სახელზედაც შედგენილია სამოქალაქო აქტების ჩანაწერები, მათი განცხადების საფუძველზე და პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისას. გარდაცვლილის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს გარდაცვლილის კანონით თუ ანდერძით მემკვიდრეებზე.

3. განქორწინების შემთხვევაში ქორწინების განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს განქორწინების ფაქტის აღნიშვნით.

4. განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს სხვა პირებზედაც, სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

5. ქორწინების განმეორებითი მოწმობები გაიცემა სათანადო მოწმობის გაცემისათვის საჭირო საბუთების წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

12. დაბადების ან გარდაცვალების მოწმობის ხელმეორედ (განმეორებით) ალების შემთხვევისას რა საბუთები უნდა წარმოადგინოს დევნილმა და სად?

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებით მოწმობებს გასცემს სამოქალაქო

აქტების რეგისტრაციის ორგანო, მასთან დაცული სამოქალაქო აქტების საფუძველზე. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიც უფლებამოსილია გასცეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები და ინფორმაცია სააგენტოს სხვა ტერიტორიულ სამსახურებში შენახული აქტების საფუძველზე.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები გაიცემა პირებზე, რომელთა სახელზედაც შედგენილია სამოქალაქო აქტების ჩანაწერები, მათი განცხადების საფუძველზე და პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისას. გარდაცვლილის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს გარდაცვლილის კანონით თუ ანდერძით მემკვიდრებზე.

ქმედუუნარო პირთა მიმართ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები გაიცემა მათ მეურვეებზე.

იმ პირებზე, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები, აგრეთვე მშობლებზე, რომელთაც მიცემული აქვთ თანხმობა თავისი ბავშვის შვილად აყვანაზე, არ გაიცემა იმ შვილების დაბადების განმეორებითი მოწმობები, რომელთა მიმართაც მათ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები ან მიცემული აქვთ თანხმობა შვილად აყვანაზე.

განმეორებითი მოწმობები შეიძლება გაიცეს სხვა პირებზედაც, სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები გაიცემა სათანადო მოწმობის გაცემისათვის საჭირო საბუთების წარდგენიდან მე-5 დღეს.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში სამოქალაქო აქტის ჩანაწერის არარსებობა დასტურდება ცნობით.

13. დაბადების სააქტო ჩანაწერში შესწორებების შეტანის⁵ საჭიროებისას რომელ უწყებას უნდა მიმართოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა და რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს?

იძულებით გადაადგილებული პირი არის საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, საქართველოში სხვა პირების/მოქალაქის მსგავსი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

შვილების დაბადების მოწმობაში შესწორებების შეტანის საჭიროებისას იძულებით გადაადგილებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. ჩანაწერებს ასწორებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამისი ორგანო საკმარისი საფუძვლებისა და დაინტერესებულ პირთა შორის დავის შემთხვევაში სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებისა და შეცვლის საკითხი წყდება სასამართლო წესით.

⁵ რომლის საფუძველზეც გაიცემა დაბადების მოწმობა

განცხადება დაბადების მოწმობაში შესწორებების შეტანის თაობაზე უნდა შევიდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილ ნებისმიერ ორგანოში, გარდა ქორწინების სახლისა. განცხადებას თან ერთვის:

- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
- სამოქალაქო აქტების მოწმობები, რომებიც გამოსაცვლელია შესწორებასა და შეცვლასთან დაკავშირებით;
- სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დამადასტურებელი საბუთი.

14. ბანკის პლასტიკური ბარათის დაბლოკვის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა?

ბანკის პლასტიკური ბარათის დაბლოკვის შემთხვევაში იძულებით გადაადგილებულმა პირმა უნდა მიმართოს იმ ბანკის ფილიალს, რომლის პლასტიკური ბარათითაც სარგებლობს.

განსახლება, პერძო საკუთრება

15. ვის უნდა მიმართოს იძულებით გადადგილებულმა პირმა საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საჭიროებისას?

საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ იძულებით გადაადგილებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

16. საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისას რა კრიტერიუმებით განისაზღვრება დევნილთა რიგითობა?

საცხოვრებელი ფართით დევნილის დაკმაყოფილებისას სახელმძღვანელო დოკუმენტია „დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურები“. მოცემული დოკუმენტით დადგენილია კრიტერიუმები პრიორიტეტების მიხედვით, რომელთაგან თითოეული კრიტერიუმი ფასდება კონკრეტული ქულებით. კონკრეტული ქულები ჯამდება ერთი დევნილი ოჯახის შეფასებისას. ეს კრიტერიუმებია:

1. კომპაქტურად განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც ავარიულია და საფრთხეს უქმნის იქ მაცხოვრებელთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.
2. კომპაქტურად განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან შენობის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას.
3. კომპაქტურად განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ობიექტებს;
4. დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის მდებარეობას იმ აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში პრიორიტეტი მიენიჭება საკითხის განხილვისას, სადაც არის განთავსებული გასანაზილებელი ფართი.

5. კომპაქტურად განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც დღევანდელი მდგომარეობით არ არის და არც შეიძლება იყოს ადაპტირებული საცხოვრებელ ფართად.

6. დევნილი ოჯახები, რომელთა მიერ ახლადაშენებულ, რეაბილიტირებულ და რეკონსტრუირებულ შენობებში დაკავებული ფართი უფრო ნაკლებია, ვიდრე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტებით დადგენილი საცხოვრებელი ფართის ნორმები.

თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად, განსახლების მსურველ დევნილთა შორის უპირატესობა ენიჭებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, პენსიონერებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული პირების ოჯახის წევრებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანებს. იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, მათვის დადგენილია ქულათა დამატებითი რაოდენობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაავადების სიმძიმის მიხედვით. ქულების ეს დამატებითი სისტემა უზრუნველყოფს განსახლების მსურველ დევნილთა შორის ქულების დაჯამებისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას სხვა დევნილებთან შედარებით.

17. რა ზომები უნდა მიიღოს დევნილმა პრივატიზების პროცესში დაშვებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად?

პრივატიზების პროცესში დაშვებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დევნილმა განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

18. განისაზღვრება თუ არა ოჯახის წევრებს შორის თანამესაკუთრეობა პრივატიზების შედეგად მიღებულ ქონებაზე?

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებისა⁶ და გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველი, ანუ მესაკუთრე, ვალდებულია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოს ოჯახის ის წევრები, რომელთა მონაცემები დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში; პრივატიზების შედეგად მიღებულ ქონებაზე პირდაპირი წესით არ ფიქსირდება თანამესაკუთრეობა, თუმცა ფიქსირდება ოჯახის წევრების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც, ხელშეკრულების შესაბამისად, შეიძლება გახდეს მიღებულ ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვის საფუძველი. სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლების ვიზიტის შედეგად განხორციელებული რეგისტრაციისას კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში მცხოვრები პირები თვითონ ასახელებენ ე.წ. „ოჯახის უფროსს“, ვისთანაც უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება და ვისზეც უნდა გაიცეს ამონანერი საჯარო რეესტრიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, თუკი „ოჯახის უფროსს“ მიღებული საცხოვრებელი ფართით არ უზრუნველყოფს კონტრაქტში ჩამო-

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 2 თებერვლის №62 განკარგულება „სახელმწიფო ქონების და ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

თვლილ ოჯახის წევრებს, ეს შეიძლება გახდეს საფუძველი მისთვის მიღებული ქონების საკუთრების უფლების ჩამორთმევის.

იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის დაკანონების შემდეგ ოჯახის წევრებს სურთ დააფიქსირონ საჯარო რეესტრში საცხოვრებელი ფართი, როგორც თანასაკუთრება, მათ (ხელშეკრულებაში დაფიქსირებულმა ოჯახის წევრებმა) უნდა მიმართონ განცხადებით საჯარო რეესტრს, წარადგინონ საცხოვრებელი ფართის თანასაკუთრებით რეგისტრაციის თანხმობის თაობაზე ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები (ან გამოცხადდნენ საჯარო რეესტრში პირადად; ასეთ შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული განცხადებების წარდგენა არ არის საჭირო). სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შემდეგ გაიცემა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. შესაბამისი მოსაკრებლის გადახდა ხდება მითითებული ბანკის ფილიალში.

საცხოვრებელი ფართის თანასაკუთრებად დარეგისტრირებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ ჩაითვლება შემდეგი: ოჯახის წევრები საცხოვრებელი ფართით თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ანუ თითოეული მათგანი არის საცხოვრებელი ფართის თანამესაკუთრე, შესაბამისად, საცხოვრებელი ფართის რაიმე სახით განკარგვისას (გაყიდვა, გაჩუქრება ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვა) საჭიროა ყველა თანამესაკუთრის თანხმობა. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რომელიმე თანამესაკუთრე ოჯახის წევრის ქვეყნის გარეთ გასვლის შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართის რაიმე სახით განკარგვისას (გაყიდვა, გაჩუქრება ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვა) რთულია მისი ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის მოპოვება.

19. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ ხომ არ შეუწყდება იძულებით გადაადგილებულ პირს დევნილის სტატუსი?

საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირს არ შეუწყდება დევნილის სტატუსი.

20. შესაძლებელია თუ არა დევნილმა მინდობილობის საფუძველზე დაკანონოს საცხოვრებელი ფართი და იგი დაარეგისტრიროს მიმნდობის სახელზე?

იძულებით გადაადგილებული პირი არის საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, საქართველოში სხვა პირების/მოქალაქის მსგავსი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

მინდობილობის საფუძველზე შესაძლებელია იძულებით გადაადგილებულმა პირმა განახორციელოს საცხოვრებელი ფართის დაკანონების ღონისძიებები და დაარეგისტრიროს მიმნდობის, ანუ მინდობილობის გამცემი პირის სახელზე. მნიშვნელოვანია, რომ მინდობილობაში დეტალურად გაიწეროს, თუ რა ღონისძიებების განსახორციელებლად გაიცემა მინდობილობა. ასევე შესაძლებელია, რომ მინდობილობაში დეტალურად გაიწეროს ოჯახის წევრების მონაცემები (პირადობის მოწმობის მიხედვით) და გაკეთდეს მითითებული ოჯახის წევრების თანასაკუთრებით.

საცხოვრებელი ფართის დაკანონებისა და მიმნდობის, ანუ მინდობილობის გამცემი პირის სახელზე საკუთრების უფლების დარეგისტრირების შემდეგ საკუთრების უფლებით სარგებლობს ის პირი, ვიზეც მოხდება საკუთრების დარეგისტრირება და საჯარო ამონანერის გაცემა. ოჯახის სხვა წევრები სარგებლობენ მოცემულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლებით. საცხოვრებელი ფართის განკარგვისას მესაკუთრეს აქვს ვალდებულება, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ოჯახის წევრები საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოს. მესაკუთრეს აქვს უფლება, ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაასხვისოს საცხოვრებელი ფართი, თუმცა მას აქვს ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება საცხოვრებლით უზრუნველყოს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ოჯახის წევრები.

21. იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისას ხდება თუ არა მათი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაბამისი პირობების მქონე საცხოვრებელი ფართის გამოყოფა)?

„დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურებით“ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, პრიორიტეტი ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ან იმ ოჯახებს, რომელთა წევრია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, და ასევე მოწყვლადი კატეგორიის პირებს და ოჯახებს, როგორებიცაა ხანდაზმულები და ქმედუუნარო პირები.

მაქსიმალურად რომ იქნეს გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, ამ კატეგორიის პირთათვის დადგენილია ქულათა დამატებითი რაოდენობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით. ქულების ეს დამატებითი სისტემა განსახლების მსურველ დევნილთა შორის ქულების დაჯამებისას უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას სხვა დევნილებთან შედარებით.

22. სარგებლობენ თუ არა მეუღლეები (ცოლი, ქმარი) თანაბარი უფლებებით ფართის დაკანონებამდე და დაკანონების შემდეგ?

საცხოვრებელი ფართის დაკანონებამდე ქორწინებაში მყოფი პირები (იგულისხმება როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში, ასევე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები) სარგებლობენ თანაბარი უფლებებით საცხოვრებელ ფართთან მიმართებით. საცხოვრებელი ფართის დაკანონების შემდეგ საკუთრების უფლებით სარგებლობს ის პირი, ვიზეც მოხდება საკუთრების დარეგისტრირება და საჯარო ამონანერის გაცემა. ოჯახის სხვა წევრები სარგებლობენ მოცემულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლებით. საცხოვრებელი ფართის განკარგვისას მესაკუთრეს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ოჯახის წევრები საცხოვრებელი ფართით. მესაკუთრეს აქვს უფლება, ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, გაასხვისოს სა-

ცხოვრებელი ფართი, თუმცა მას აქვს ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება, საცხოვრებლით უზრუნველყოს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ოჯახის წევრები.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ოჯახის წევრები აღმოაჩენენ, რომ ირლევა კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში მათი ცხოვრების უფლება ან მესაკუთრის მიერ ხდება საცხოვრებელი ფართის გასხვისება (ან სხვაგვარად განკარგვა, მაგალითად, გაჩუქება და ა.შ.), მათ აქვთ საშუალება განცხადებით მიმართონ ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეს კონკრეტული ფაქტის დაფიქსირებით. შესაბამისად, მესაკუთრე მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო აღნიშნულის ხელმეორედ გამეორების შემთხვევაში, განიხილება საკითხი მესაკუთრესათვის საკუთრების უფლების შეწყვეტის და ხელშეკრულაბაში დაფიქსირებულ ოჯახის სხვა წევრზე საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ფართის თანასაკუთრებად დარეგისტრირებას აქვს თავისი დადებითი მხარე; ოჯახის წევრები საცხოვრებელი ფართით სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, ანუ თითოეული მათგანი არის საცხოვრებელი ფართის თანამესაკუთრე, შესაბამისად, საცხოვრებელი ფართის რაიმე სახით განკარგვისას (გაყიდვა, გაჩუქება ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვა) საჭიროა ყველა თანამესაკუთრის თანხმობა.

23. განქორწინების შემთხვევაში რა უფლებებით სარგებლობენ მეუღლეები (განსაკუთრებით ქალები) სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად გამოყოფილ საკუთრებაზე?

სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად, განქორწინების შემთხვევაში, დაკანონებულ საცხოვრებელ ფართთან მიმართებით რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ყველა უფლებით; კერძოდ, აღნიშნული საცხოვრებელი ფართი ითვლება ქორწინების პერიოდში შეძენილ ქორწინებად. შესაბამისად, განქორწინების შემთხვევაში, მეუღლეს (საკუთრების უფლების არმქონე მეუღლეს, ანუ ვის სახელზეც საჯარო რეესტრის ამონანერი არაა გაცემული) აქვს უფლება მოითხოვოს თავისი წილი დაკანონებული საცხოვრებელი ფართიდან.

24. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შესყიდვის სურვილის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა და რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს?

არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შესყიდვის სურვილის შემთხვევაში პირმა უნდა მიმართოს განცხადებით შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ხოლო თუ აღნიშნული მიწა არის სახელმწიფო საკუთრება, – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს, სასურველი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში ხდება კონკრეტული დოკუმენტაციის წარდგენა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის შენობებში.

25. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების სურვილისას რა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს იძულებით გადაადგილებულმა პირ-მა და საღ?

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების სურვილის შემთხვევაში პირმა უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ან საჯარო რეესტრის ტერიტორიული რეგისტრაციის შესაბამის სამსახურს. სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება. განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ძირითადი დოკუმენტია წასყიდობის ხელშეკრულება.

26. როგორ წყდება კომპაქტურ ცენტრებში დევნილ ოჯახებზე მიწერილი ნათესავების ან ოჯახის სხვა წევრების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი, როდესაც ეს პირები იქ არ ცხოვრობენ?

საცხოვრებელი ფართის დაკანონებამდე სამოქალაქო რეესტრი ახდენს კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში ფაქტობრივად მაცხოვრებელ პირთა რეგისტრაციას და აღრიცხვას. მიღებული მონაცემების შედარება ხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში არსებულ მონაცემთა ბაზებთან. შემდეგ მოცემულ საცხოვრებელ ფართს სთავაზობენ იქ მაცხოვრებელ ყველა პირს. თანხმობის განცხადების შემთხვევაში ხდება საცხოვრებელი ფართის დაკანონება, უარის შემთხვევაში აღნიშნული პირები უნდა დაელოდონ ალტერნატიულ შეთავაზებას.

27. მიღებენ თუ არა კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები ფულად კომპენსაციას და როდის?

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულების მიხედვით, კერძო სექტორში მაცხოვრებელი იძულებით გადაადგილებული პირებზე სტრატეგიის სამოქმედო გეგმის III ეტაპზე საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა შესაძლოა განხორციელდეს, იმ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ვისაც საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ფართი, რომელიც არ მიუღია დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

სოციალური დაცვა

28. რა ტიპის სოციალური დახმარების პროგრამები არსებობს დევნილებისათვის?

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ახორციელებს:

1) საარსებო შემწეობის გაცემას იმ პირებზე, რომელთა ოჯახებიც დადგენილი წესით დარეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათი სარეიტინგო ქულა ნაკლებია 57 001-ზე.

საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის შეადგენს ყოველთვიურად 30 ლარს, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე აღნიშნულ თანხას ემატება 24 ლარი.

2) 2007 წლის 1 იანვრამდე უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისა და პირებისათვის დანიშნული საოჯახო დახმარების გაცემას ქვემოთ მითითებულ კატეგორიებზე შემდეგი ოდენობებით:

- 2.1) მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიან ოჯახზე – 22 ლარი, არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიან ოჯახზე – 35 ლარი;
- 2.2) დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;
- 2.3) არამომუშავე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოებზე, ერთ პირზე – 22 ლარი;
- 2.4) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;
- 2.5) მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს 7 ან 7-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი – 35 ლარი.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი იმ ოჯახებს, რომლებიც მოხვდებიან მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და დაენიშნებათ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობა, შეუწყდებათ საოჯახო დახმარება. 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების ხელახალი დანიშვნა აღარ ხორციელდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N145 დადგენილების შესაბამისად, საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან გავრცელდა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ იღებენ საარსებო შემწეობას, 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულყონენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, დადგენილი წესით აღრიცხული არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებული არიან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელია (ამ ადგილების ოკუპაციის გამო) და, ამავდროულად, ოჯახის არც ერთი წევრი არ ენევა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

თუ ოჯახი იღებს „უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ 2007 წლის 1 იანვრადე დანიშნულ ფულად დახმარებას – საოჯახო დახმარებას და სურს მიიღოს ფულადი დახმარება - საარსებო შემწეობა, პირადი განცხადების საფუძველზე და მათი სარეიტინგო ქულა იქნება 57 001-ზე ნაკლები, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი სოციალური დახმარების — საარსებო შემწეობის დანიშვნის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობი შესაბამისად, ოჯახს უწყვეტს საოჯახო დახმარებას.

თუ ოჯახი იღებს „უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ფულად დახმარებას (საოჯახო დახმარება) და/ან არის დევნილი და დევნილობის ყოველთვიური შემწეობის მიმღები, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი სოციალური დახმარების დანიშვნის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობი შესაბამისად, ოჯახს უწყვეტს საოჯახო დახმარებას და/ან დევნილის ყოველთვიურ დახმარებას. კერძოდ, დარეგისტრირებულ დევნილებს პლასტიკურ ბარათებზე ერიცხებათ ყოველთვიური შემწეობა 28 ლარი. კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში დარეგისტრირებულ დევნილებს ერიცხებათ 22 ლარი.

29. ეკუთვნის თუ არა იძულებით გადაადგილებულ პირს სოციალური სუბსიდის (ელექტროენერგიის საფასური, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები) შეღავათით სარგებლობის უფლება?

საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ფულადი სახის ყოველთვიური გასაცემელი, რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრულ სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროების უზრუნელსაყოფად. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა წრე მოიცავს მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებსა და მონაწილეებს, რეპრესირებულებს, 9 აპრილს დაზარალებულ პირებსა და სხვა.

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება არ აქვთ ორგანიზებულად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მქონე პირებსა და 2008

წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესის შედეგად დაზარალებულ ორგანიზებულად ჩასახლებულ მოსახლეობას, რომელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით იურიდიული პირის მიერ. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2010 წლისათვის ორგანიზებულად განსახლებული ერთი დევნილისა და ლტოლვილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსება თვეში განისაზღვრება: ქ. თბილისში – 13.48 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – 12.98 ლარით. ამ დაფინანსებას ცენტრალიზებულად ახორციელებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (იგულისხმება ობიექტებში განსახლებულ დევნილთა და ლტოლვილთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასეზიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, ასევე ჩასახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ერთ დევნილსა და ლტოლვილზე განისაზღვრება თვეში არა უმეტეს 5 ლარით.⁷

სამინისტრო დევნილებს უხდის ელექტროენერგიის დანახარჯს 100 კვ ოდენობით სულზე და კომუნალურ გადასახადებს.⁸

30. შესახლებელია თუ არა დევნილობამდე ნამსახურევი სტაჟის დადგენა და როგორ?

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ყველა დევნილს, თუ მისი შრომითი საქმიანობის შეწყვეტა დაკავშირებულია დევნილობასთან, დევნილობის პერიოდში უნარჩუნდება შრომის უწყვეტი სტაჟი, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი. ნამსახურევი სტაჟის დადგენისა და ამის თაობაზე ცნობის მისაღებად პირმა განცხადებით უნდა მიმართოს იმ დაწესებულებას, სადაც იგი მსახურობდა დევნილობამდე და დაურთოს ხელთ არსებული ყველა ის საბუთი, რომელთა წარდგენაც გაამარტივებს ცნობის გაცემის პროცედურას. უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში, პირი მიმართავს სასამართლოს სარჩელით ნამსახურევი სტაჟის დადგენი თაობაზე, რასაც დაურთავს დაწესებულებაში წარდგენილ განცხადებას და პასუხს, ასევე მის ხელთ არსებულ ყველა იმ საბუთს, რომელთა წარდგენაც გაამარტივებს სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ დადებითი გადაწყვეტილების მიღებას.

იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, რომელიც მოიპოვებს შრომითი სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს, უფლება აქვს აირჩიოს დანამატის მიღება შემდეგი პირობებით:

„შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29

7 „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, თავი VII, მუხლი 33. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირია, განსახლებისა და ლტოლვილისა სამინისტროს ვებგვერდი. ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 15 ოქტომბერს <http://www.mof.ge/common/get>

8 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირია, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებგვერდი. ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 7 ოქტომბერს; <http://www.mra.gov.ge>

აგვისტოს N 181 დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული მინიმალური სახელმწიფო პენსიის დანამატი შემდეგი ოდენობით:

- ა) 5 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 2 ლარი;
- ბ) 5-დან 15 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 4 ლარი;
- გ) 15-დან 25 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 7 ლარი;
- დ) 25 და მეტი საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის – 10 ლარი.

იძულებით გადაადგილებული პირისათვის – დევნილისათვის, რომელიც დოკუმენტურად ვერ დაადასტურებს შრომით სტაჟს, 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ასაკის გამო დანიშნული მინიმალური სახელმწიფო პენსიის დანამატი ამავე პერიოდიდან განისაზღვრება შემდეგი წესით:

- ა) დევნილი მამაკაცებისათვის:
 - ა.ა) 65-დან 67 წლამდე — 2 ლარი;
 - ა.ბ) 67-დან 69 წლამდე — 4 ლარი;
 - ა.გ) 69-დან 71 წლამდე — 7 ლარი;
 - ა.დ) 71 წლიდან ზევით — 10 ლარი;
- ბ) დევნილი ქალებისათვის:
 - ბ.ა) 60-დან 62 წლამდე — 2 ლარი;
 - ბ.ბ) 62-დან 64 წლამდე — 4 ლარი;
 - ბ.გ) 64-დან 66 წლამდე — 7 ლარი;
 - ბ.დ) 66 წლიდან ზევით — 10 ლარი.

31. ვინ ანაზღაურებს დევნილის დაკრძალვის ხარჯებს?

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მ) ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის გარდაცვალებისას დაკრძალვის ხარჯებს დადგენილი წესით ანაზღაურებენ დევნილის დროებითი განსახლების ადგილის მიხედვით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან. დაკრძალვის ხარჯების დადგენილი წესით ანაზღაურების თაობაზე იძულებით გადაადგილებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადებით შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველობას გარდაცვალების მოწმობის აღების შემდეგ, რომელსაც დაურთავს წარდგენილ განცხადებას.

32. ვინ არის უფლებამოსილი, მიიღოს სოციალური დახმარება და რა პროცედურები უნდა გაიაროს დევნილმა სიღარიბის ზღვარს მიღმა სტატუსის რეგისტრაციისათვის?

დევნილი ან დევნილი ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი საარსებო მინიმუმის მისაღებად უნდა დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახის მოწაცემთა ერთიან ბაზაში. რეგისტრაციისთვის უნდა შეავსოს განაცხადის სპეციალური ფორმა (განა-

(ცხადის ელექტრონული ვერსია⁹) ან განაცხადის შესავსებად უნდა მიმართოს სააგენტოს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას.

განაცხადის შესავსების შემდეგ, თუ ოჯახს მიენიჭა შესაბამისი სარეიტინგო ქულა (არა უმეტეს 57 000), მას დაენიშნება ფულადი სოციალური შემწეობა.

სოციალური დაუცველ ოჯახს უფლება აქვს თავად აირჩიოს ფულადი სოციალური დახმარების ფორმა. თუ ოჯახი იღებს „უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ფულად დახმარებას (საოჯახო დახმარება) და/ან არის დევნილი და დევნილობის ყოველთვიური შემწეობის მიმღები, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი სოციალური დახმარების დანიშვნის შესახებ განცხადების შესავსებამდე ოჯახს უხსნის, რომ სოციალური დახმარების დანიშვნის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ოჯახს შეუწყდება საოჯახო დახმარება ან დევნილის ყოველთვიური შემწეობა.¹⁰

ოჯახს აქვს უფლება, აირჩიოს ის სოციალური დახმარება, რომლის მიღებაც მას სურს. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს სურს დარჩეს საოჯახო დახმარების და/ან დევნილის შემწეობის მიმღებად, ოჯახის უფლებამოსილი პირი ავსებს სოციალური დახმარების დანიშვნაზე უარის განცხადებას.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია 57 001-ზე, საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭების თვიდან მესამე თვეს (თვეთა ათვლისას სარეიტინგო ქულის მინიჭების მომდევნო თვე ითვლება პირველ თვედ).

საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის შეადგენს ყოველთვიურად 30 ლარს, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე აღნიშნულ თანხას ემატება 24 ლარი.

განაცხადის სპეციალური ფორმის შესაბისთვის საჭირო საბუთების ნუსხა:

- ოჯახის სრულწლოვანი წევრების პირადობის მოწმობები ან საქართველოს მოქალაქის პასპორტები;
- ოჯახის იმ წევრთა დაბადების მოწმობები, რომლებიც განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არასრულწლოვნები არიან (16 წლამდე);
- მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, თუ განცხადება შემოაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის.

⁹ <http://ssa.gov.ge/index>.

¹⁰ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი; ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 7 ოქტომბერს; <http://www.ssa.gov.ge/index>.

33. რა ოდენობით განისაზღვრება დევნილისათვის ყოველთვიური შემწეობა?

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2010 წლისათვის ორგანიზებულად განსახლებულ ერთ დევნილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვრება 22 ლარის ოდენობით, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა — 28 ლარის ოდენობით.¹¹

34. რა ოდენობის ფულადი დახმარება ენიშნება სახელმწიფოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმპ) იძულებით გადაადგილებულ პირს?

იძულებით გადაადგილებულ პირს — დევნილს, როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშნვისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვალის №46/6 ბრძანების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო პენსია ენიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დადგენილი აქვს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანიშნული სახელმწიფო პენსია — 80 ლარი.

მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანიშნული სახელმწიფო პენსია — 70 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დანიშნული სახელმწიფო პენსია — 70 ლარი.

შშმ პირმა პენსიის დასანიშნად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

მოაქალაქემ შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის დანიშნისათვის უნდა წარადგინოს საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- პირადობის მოწმობა ასლთან ერთად;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონანერი (დედანი).12

¹¹ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, თავი VII, მუხლი 33. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. განსახორციელებელი ღონისძიებები: ინფორმაცია მომოვებულია 2010 წლის 15 ოქტომბერს <http://www.mof.ge/common/get>

¹² სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი; ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 18 ოქტომბერს <http://www.ssa.gov.ge/index>.

35. რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა და-მხმარე საშუალებების მისაღებად და სად?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბერის №442/6 ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის“ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“¹³ ქვეპროგრამის ფარგლებში დამხმარე საშუალებების მიღების მიზნით მოქალაქემ ან მისმა წარმომადგენელმა განცხადებით (დამხმარე საშუალების საჭიროების მქონე პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართის ზუსტი მითითებით) უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (მისამართზე: აკ. წერეთლის გამზ. 144) ან რეგიონულ ფილიალებს. წარმომადგენელი შეიძლება იყოს მშობელი ან კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული მეურვე. მეურვე შეიძლება იყოს ამ პირის ოჯახის წევრი ან ნათესავი, ვინც სურვილს გამოთქვამს პირის მეურვეობაზე. მეურვედ დანიშვნა ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მდებარეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

განცხადებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის დამხმარე საშუალებების მისაღებად, თან უნდა ერთვოდეს:

სავარძელ-ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, 16 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი – დაბადების მონაბიძის ასლი;
- შემ პირის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თუკი ასეთი არსებობს;
- „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/6 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №IV-50/2-ის ასლი, სადაც მითითებული იქნება დამხმარე საშუალების (სავარძელ-ეტლის) საჭიროება;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის დამადასტურებელი მონაბიძის ასლი, თუკი ასეთი არსებობს.

ხელჯონის (ასევე – უსინათლოთა) ან ყავარჯენის (ასევე – ხელჯონ-ყავარჯენის) მოთხოვნის შემთხვევაში:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, 16 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი – დაბადების მონაბიძის ასლი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პენსიის მიმღები კატეგორიის (ასაკით პენსიონერი ან შემ პირი) დამადასტურებელი საბუთის ასლი;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის დამადასტურებელი მონაბიძის ასლი, თუკი ასეთი არსებობს.

სმენის აპარატის და კოხლეარული იმპლანტის მოთხოვნის შემთხვევაში:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, 16 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში – დაბადების მონაბიძის ასლი;
- შემ პირის სტატუსის დამადასტურებელი მონაბიძის ასლი, თუკი ასეთი არსებობს;

¹³ ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 15 ოქტომბერს, <http://www.hespa.ge/index.php>

- გ) „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/6 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა IV-50/2-ის ასლი, სადაც მითითებული იქნება დამხმარე საშუალების (სმენის აპარატის ან კოხლეარული იმპლანტის) საჭიროება;
- დ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, თუკი ასეთი არსებობს.

საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის მოთხოვნის შემთხვევაში:

- ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, 16 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი;
- ბ) შემ პირის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
- გ) „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/6 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №IV-50/2-ის ასლი, სადაც მითითებული იქნება საპროთეზო-ორთოპედიული საშუალების საჭიროება;
- დ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, თუკი ასეთი არსებობს.

36. ოჯახში ძალადობის დროს ვის უნდა მიმართოს დევნილმა დაცვისათვის?

• რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალაობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, რაც გამოხატულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ძალადობის თითოეული ფორმა შემდეგნაირადაა განმარტებული:

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ლირსების შელახვას იწვევს.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულნლოვანის მიმართ.

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ანდა რომლისგან თავის შეკავებაც მისივე უფლებაა ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

• 306 ითვლება ოჯახში ქალადობის მსხვერალად და 306 - მოძალადება?

ოჯახში ძალადობის **მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება ოჯახის სხვა წევრის მხრიდან. **მოძალადება** არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას.

• როგორ მოვიძეო, თუ მე ან ჩემი აცლოგები იჯახში ქალადობის მსხვერალია?

საქართველოს კანონმდებლობა იცავს მოქალაქეებს იჯახში ძალადობისაგან. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ოპერატორულ რეაგირებას ახდენს საპატრულო (ან საუბნო) პოლიცია მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნებისათვის დროებითი ღონისძიების სახით გაიცემა შემაკავებელი ორდერი. ამასთან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია მიმართოს რაიონულ/საქალაქო სასამართლოს დამცავი ორდერის გაცემის თხოვნით, რომელიც აგრეთვე მიზნად ისახავს გარკვეული ღონისძიებების დაწესებას მსხვერპლის დასაცავად და მოძალადის ქმედებების შესაზღუდად.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება:

- მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები;
- მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები;
- მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები;
- მოძალადის მიახლოების შეზღუდვა/აკრძალვა მსხვერპლთან, მსხვერპლის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- მოძალადისათვის იარაღით, ასევე სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ასევე იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვა ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;
- სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

ოჯახში ძალადობის შემთხვევისას დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას ნომერზე 022. შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემა სავალდებულოდ არ გულისხმობს მოძალადის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწესებას.

გარდა ამისა, არსებობს **24-საათიანი ეროვნული ცხელი ხაზი**, რომელიც გაგიწევთ კრიზისულ და სამართლებრივ დახმარებას ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერია: **309 903** (ზარი ანონიმურია). ცხელი ხაზი მოქმედებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში. ფონდთან არსებობს აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, სადაც შესაძლებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მისი შვილების დროებით განთავსება. ფონდი ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას და ხელს უწყობს მის ფსიქოსოფიალურ რეაბილიტაციას.



პარაგვა

37. სამსახურეობრივი ტრავმის შემთხვევაში, გარდა მკურნალობის ხარჯის ანაზღაურებისა, ეძლევა თუ არა კომპენსაცია დაზარალებულის ოფახს?

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის შემთხვევაში მკურნალობის ხარჯებს მთლიანად ანაზღაურებს დამსაქმებელი (შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილი). რაც შეეხება დაზარალებულისთვის კომპენსაციის მიცემას, მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით („შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“) ნათქვამია, რომ დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებელის ბრალეული მოქმედებით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს სამი წლის ვადაში აქვს უფლება მოითხოვოს მისი ანაზღაურება. დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია ანაზღაურება მოხდეს ერთჯერადი კომპენსაციის გადახდით ან ყოველთვიური სარჩოს სახით.¹⁴

38. რა დოკუმენტები უნდა დაერთოს ავადმყოფი დევნილისთვის ერთჯერადი სამედიცინო დახმარების მსურველის განცხადებას?

დევნილისათვის ერთჯერადი დახმარების განცხადებას უნდა დაერთოს ფორმა 100, პირადობის მოწმობისა და დევნილის მოწმობის ასლები.¹⁵ დევნილმა განცხადება უნდა წარადგინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში.

39. დევნილთა რომელ კატეგორიას ეკუთვნის სამედიცინო დაზღვევის პოლისი?

2010 წელს სადაზღვევო ვაუჩერი მიეცათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებული არაან „სოციალურად დაუკველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომელთათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღმატება 70 000-ს.¹⁶

¹⁴ შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილი და საქართველოს მთავრობის დადგენილება №53 2007 წლის 24 მარტი: ქ. თბილის: შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ.

¹⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრის ვებგვერდი. ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 7 ოქტომბერს; <http://www.mra.gov.ge/#index/80/GEO>

¹⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №218 2009 წლის 9 დეკემბერი; ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 7 ოქტომბერს; http://moh.gov.ge/ge_pdf/politika/2010/1.pdf

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ¹⁷ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სადაზღვევო ვაუჩერი მიეცემათ „ოჯახებს, რომლებიც 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილები და გადაადგილებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში და რომლებიც განსახლებულ იქნენ სახელმწიფოს ან სხვა იურიდიული პირების მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად შეძენილ საცხოვრებელ ადგილებში¹⁸. მათი სადაზღვევო პერიოდი დაიწყება 2010 წლის 1 მაისიდან კომპეტენტური ორგანოების მხრიდან ბენეფიციარების შესახებ სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოში სის წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

40. თუ შეიძლება დამატებითი შეღავათებით სარგებლობა არასრულწლოვანი ბავშვის გადაუდებელი ოპერაციის დროს?

ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა¹⁹, რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა²⁰ და სადაზღვევო ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურება ითვალისწინებს 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარულ მომსახურებას თანადაფინანსებით (80%-ს იხდის სახელმწიფო) და კრიტიკული მდგომარეობებისა და ნეონატოლოგიური მომსახურების სრულ ანაზღაურებას.

პროგრამას ახორციელებს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების განმახორციელებელი კონტრაქტორი დაწესებულებები. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებს²¹.

41. რა პროგრამებს ახორციელებს სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №442/6 ბრძანების²² (2009 წლის 30 დეკემბერი) თანახმად, 2010 წელს ხორციელდება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირთა (მათ შორის – ბავშვთა) სოციალურ მომსახურებას შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელებით:

- შშმ პირთა დღის ცენტრების ქვეპროგრამა
- ყრუ-მუნჯების კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა
- შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამა
- ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა


¹⁷ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა; ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო; ინფორმაცია მოპოვებულია 2010 წლის 15 ოქტომბერი http://www.hespa.ge/files/111_167_353172_baxSvTaprograma.pdf

¹⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №424/6.

¹⁹ კონტრაქტორი დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია იხ. დანართი.

